ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 25 ნოემბერი № 1651

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27** და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** **ტელეფონი № 372.**

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 25 ნოემბერს, 11 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წლის პანაშვიდი ქართულ დასის არტისტი ქალის

ბარბარე ავალიშვილის

და ამავე დასის სუფლიორის

ნ. გალუსტოვის

სულის მოსახსენებლად. (უ. 2—2)

ქართული თეატრი

კვირას, 25 ნოემბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« **დაკლებულის ფასებით** »

კ. აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით

პარიზის ღარიბ-ღატაკნი

მელოდრ. 5 მოქ. პროლოგით და ეპილოგით დენიერისა, თარგ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, ლეჟავა; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია:**

გალერეია 20 კ., პარტერი 50 კ., ლოჟები 3 მ. შეგირდებისათ. კუპონები ლოჟ. 60 კ.

მზადდება: **ვ. გამყრელიძის საბენეფისოდ** ახალი პიესა **«შვილის ცოდვისათვის»**. და „მუზმუზელა" (ტარტიუფი) კ. მესხის მონაწილეობით. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და ბავშვთა 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

„ცნობის ფურცლის" დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ **სურათებიან დამატების** მე-16 ნომერი.

მთავრობის განკარგულება

სამხედრო უწყება:

ნიკოლოოზის საინჟინერო აკადემიის მოსწავლე ოფიცერთა ხელმძღვანელი შტაბ-ოფიცერი პოლკოვნიკი ბარათაშვილი დაინიშნა მე-12 საპიორთა ბატალიონის ჯარის უფროსად.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

23 ნოემბერი

ვარშავა. ახალ წლიდან აქ არსდება სასკოლო შემნახველი კასსები.

ვარშავ-კალიშის რკინის გზის კეთება იმდენად სწრაფად მიდის, რომ მკეთებელი კომიტეტი შუამდგომლობს, ვარშავსა და ლოძის შუა დროებითი მიმოსვლა 1-ლ ივლისიდან (?) დაიწყოსო.

კიევი. მიტროპოლიტი თეოგნოსტი პეტერბურგს წავიდა.

ხარკოვი. სამთო კომიტეტის წევრი ტაინი სოვეტნიკი შტოფი წავიდა პეტერბურგს, რადგანაც დაასრულა თავისი საქმე სამთამადნო მრეწველთა კრებაზე.

ჯერ-ჯერობით არჩეულია 30 ხმოსანი; კენჭი იყარა 100 კაცმა.

ტიუმენი. თოვლიანი ზამთარია; მაინცა და მაინც დიდი ყინვა არ არის; 10—15 გრადუსამდე ადის მხოლოდ.

ლონდონი. „დაილი ექსპრეს"-ს ატყობინებენ ბომბეიდან, რომ გოადან მომავალი დიდი გემი, რომლით მრავალი მლოცველი მიდიოდა ინდოეთის მოციქულის წმ. ფრანცისკ კსავიეს კუბოს თაყვანისაცემლად, 21 ნოემბერს დაიღუპა; 150 მლოცველი დაიხრჩო.

ბერლინი. გუშინ საღამოს აქ მოვიდა პეტერბურგიდან მარკიზი იტო.

ბერლინი. „ნორდდაიჩე ცაიტუნგ"-ი იტყობინება, რომ მარკიზი იტო, რომელიც გუშინ მოვიდა ბერლინში, დღეს სადარბაზოდ იყო სტატს-სეკრეტარ რიხტჰოფენთან; მარკიზს ახლდნენ იაპონიის ელჩი ბერლინში და გარეშე საქმეთა სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტად ნამყოფი ტსუზუკი.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. დეპეშებიდანაც იცით, ამას წინად ჩვენც მოგახსენეთ, რომ ჩინეთის სესხმა დიდი კამათი გამოიწვია პალატაში და მთავრობასა და მის მომხრე რადიკალ-სოციალისტებ შუა განხეთქილებაც ჩამოაგდო. მაინც ვალდეკ-რუსოს მთავრობამ თავისი გაიტანა და ეს სესხი დაამტკიცებინა პალატას. პირველმა მინისტრმა კამათის დროს დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. როგორც გაზეთები იწერებიან, ეს სიტყვაა და მთელი საფრანგეთი. ამ სიტყვამ ყველანი აალაპარაკა: ზოგი თუ აქებს პირველ-მინისტრს, ზოგი სამაგიეროდ აძაგებს. მთელი საფრანგეთი ორად გაიყო: ყველა მთავრობას მიემხრო, ყველა ვალდეკ-რუსოს აქებს, სამაგიეროდ მისი ერთგული მომხრე რადიკალები და სოციალისტები კი გადაუდგნენ. ამიტომ ურიგო არ იქნება ამ სესხის ამბავი გავიხსენოთ. «რუსკია ვედომოსტი»-ის პარიზელი კორესპონდენტი სწერს:

«ფინანსთა მინისტრმა კაიომ კანონ-პროექტი შეადგინა: შინაგანი სესხი გამოვცეთ და ამით შევავსოთ რაც საფრანგეთმა ჩინეთში ხარჯი გასწიაო, და გზღათ ის ზარალი, რაც საფრანგეთის მოქალაქეებს ჩინეთში შფოთის დროს მოუვიდათო. შემდეგ, როცა ჩინეთი საზღაურს გადაიხდის, ამ ფულს იქიდან დავიბრუნებთო. კაიოს ანგარიშით, ამ საქმისათვის 265 მილიონი ფრანკი იყო საჭირო. ამ აზრის წინაამდეგ პრინციპიალურად ვერავინ ვერას იტყოდა. სახელმწიფო ხარჯი უსათუოდ უნდა შეივსოს. მაგრამ ყველა ვაჭრებისა, ფინანსიური საზოგადოებისა და კათოლიკე ბერების კრებულისა ზარალის შევსება კი ბევრს ჭკუაში არ დაუჯდა. ვაჭრები, თუ ბერები—ყველანი თავიანთ ნებით მიდიან ჩინეთში, ყველა ეს გაბატონება თავიანთ საკუთარ კერძო ხეირსა და სარფას დაეძებენ და სხვას არაფერს. მაშ საფრანგეთი აქ რა შუაშია?—ჰკითხულობდნენ ბევრნი. რისთვის უნდა უზღოს ზარალი, განა უმეცრები იყვნენ, არ იცოდნენ, რომ ჩინეთში განსაცდელი მოელოდათ?—ზოგიერთნი საზოგადოთ პრინციპიალურად წინაამდეგნი არიან, რომ ვაჭრებსა და ბერებს საზღაური მიეცეს, ზოგიერთს კიდევ ეშინიან, ვაი თუ ჩინეთმა ფული არ გადაიხადოსო. პირობის ძალით, ჩინეთმა 39 წლის განმავლობაში უნდა იხადოს საფრანგეთისა და ყველა სახელმწიფოების საზღაური. ვინ იცის, ამ 39 წლის განმავლობაში რა მოხდება. იქნება ჩინეთმა სულაც უარი თქვას და საზღაური აღარ გადაიხადოსო. და თუ ასე მოხდა, მაშინ ვიღაც ვაჭრებისა და ბერების ზარალი უდანაშაულო ფრანგმა მუშებმა და გლეხებმა უნდა გადაიხადონ. ვაჭრებზე კიდევ იმდენად არ მოსდით ჯავრი, როგორც ბერებზე. ამათ ხსენებაზე სულ ცეცხლს იკიდებს საფრანგეთის დემოკრატია. ჩინეთში შფოთი და სისხლის დვრა თითონ ბერებმა ასტეხეს და ეხლა დიდი უსამართლობა არ იქნება, რომ ამ ბერებსაც ზარალი უზღოთო, მით უმეტეს უსამართლობა იქნება, რომ ბევრმა მათგანმა თითონვე თავის ხელით აზღვევინა ჩინელებსაო. როცა ევროპიელი ჯარები ჩინელებს სცარცვავდნენ, მაშინ ბერებმაც დიდი დავლა იშოვესო. მერე განა ვალდეკ-რუსოსაგან ეგ იმედი გვქონდაო. განა «რესპუბლიკის დამცველმა» სამინისტრომ ასე თავი უნდა გამოიდოს ვიღაცა უსინდისო ბერების გულისათვისო! აქ შინ მედგრად ებრძვის ბერების კრებულებს და ჩინეთში დაბინავებულ ბერებს კი ეფერება და მფარველობას უწევსო.

პალატის საბიუჯეტო კომისიამაც სწორედ ამ თვალით შეხედა საქმეს და დაადგინა: მთავრობის ხარჯის დასაფარავად 210 მილიონი ფრანკის სესხი გამოიცესო. ჩინეთში დაზარალებული ვაჭრებისა და ბერების მისაცემად დანიშნული 55 მილიონი ფრანკის სესხი კი კომისიამ ერთხმად უარ-ჰყო. მთავრობამ მაინც თავისი მოითხოვა. მინისტრმა კაიომ პალატაში თავის პროექტის დასაცველად ილაპარაკა. კომისიის მომხსენებელმა პიუბარმა და სოციალისტმა სემბამ მინისტრის წინააღმდეგ ილაპარაკეს და ამტკიცებდნენ, საფრანგეთი მოვალე არაა კერძო კაცებს ზარალი უზღოსო; ეს სესხი საზარალოც იქნება ჩვენი ქვეყნისათვისაო. ამას გარდა, მთავრობა თავისი პოლიტიკის წინააღმდეგადაც იქცევაო. სემბამ მოითხოვა კიდევ, რომ საფრანგეთის ჯარის მთავარ სარდლის გენერალ ვუაირონის საიდუმლო მოხსენება პალატას მოეხსენდესო, რადგანაც ვუაირონი ბევრ საინტერესო ცნობებს იწერება ფრანგი ბერების შესახებაო. მინისტრ კაიოს ჯერ მელინისტი რიბო გამოესარჩლა და მერე თითონ ვალდეკ-რუსოც მიეშველა. ვალდეკ-რუსომ ბევრი ილაპარაკა: მომეტებულ ნაწილად ბერების კრებულებზე ილაპარაკა და ამტკიცებდა, რომ ეს კრებულები ჩინეთში განათლებასავრცელებენო. პირველმა-მინისტრმა გადაჭრით უარი უთხრა სემბას: გენერალ ვუაირონის მოხსენებას ვერ გამოვაცხადებთო. ბოლოს ვალდეკ-რუსომ მოსთხოვა პალატას, მთავრობის პროექტი სესხის შესახებ მთლად დაამტკიცეთ და ამით სამინისტროს ნდობა გამოუცხადეთო.

სამინისტროს მომხრეები გაშტერებულები ისმენდნენ პირველი მინისტრის ლაპარაკს; ოპოზიცია კი: კლერიკალები და მელინისტები კი ცას მიეწივნენ სიხარულისაგან. მუშების დასმა გადაჭრით გადაწყვიტა, მთავრობას მხარს ვერ დაუჭერთ ამ საქმეშიო, ამ დასს ზოგიერთი რადიკალ-სოციალისტიც მიემხრო. თუმცა რადიკალები მთავრობას მიემხრნენ, მაგრამ ვაი იმ მიმხრობას. სამაგიეროდ ოპორტიუნისტები დიდის სიამოვნებით მიუდგნენ მთავრობას. მელინისტები ხომ, თქმა აღარ უნდა, როგორც ერთი კაცი, ყველა მთავრობას მიემხრო, მაგრამ მელინის მარჯვენა ხელმა—კრანცმა,—მაინც მოაგონა მთავრობას: თუმცა ამ საქმეში გემხრობი, მაინც შენი მტერი ვარ და ამ საქმის გარდა, სხვაში არაფერში გენდობიო. კლერიკალები სულ სხვანაირად მოიქცნენ. ამათ სახელით, დენი კოშენმა ვალდეკ-რუსოს მოუწონა: მისიონერების მოქმედება აღმოსავლეთში «სამართლიანად» დააფასაო, მაგრამ აქვე შეჰნიშნა, რომ მინისტრი ორნაირ პოლიტიკას მისდევსო: შინ სდევნის ბერებსა და ჩინეთში კი ესარჩლებაო, ამიტომაო—გამოაცხადა კოშენმა,—ჩვენი დასი ნამცეცადაც არ ენდობა მთავრობას და ამ სესხის ნებასაც არ აძლევსო. ბოლოს და ბოლოს პალატამ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა: მთავრობის კანონ-პროექტი სესხის შესახებ მთლად დამტკიცდესო.

ვალდეკ-რუსოს სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, სამინისტროს მომხრე რადიკალები და სოციალისტები უკმაყოფილონი არიან, მაგრამ ხმას არ იღებენ, არასა სწერენ გაზეთებში. კლემანსო, პრესანსე და სხვები დამოუკიდებელი დემოკრატები კი მეტად მკაცრად ჰკიცხავენ პირველ მინისტრს.

ინგლისი. ინგლისელმა კაპიტალისტებმა სწორედ საქმე გაუჭირეს ბურებს, ოღონდ ჩვენი საწადელი კი შევასრულოთ და ბურები სულაც გაწყვეტილანო. თუნდ ყოფილან ქვეყანაზე, თუნდ არაო, ყველაფერი ახია იმათზეო, რატომ თავიანთ ქერქში არ დადგებიან, და მორჩილებას არ გამოგვიცხადებენო. განა ჩვენთან ბრძოლა შეიძლებაო? სულელებს ჰგონიათ, რომ იმათაც წილი უდევთ ამ წუთისოფელში, ის კი არ იციან, ეს ქვეყანა მარტო ჩვენთვის არის შექმნილიო. კაპიტალისტებს არც იმისი დარდი აქვთ, რომ

სამხრეთ-აფრიკაში ინგლისელი უფრო მეტი გასწყდა ბურებზე. მაშ რისთვის არიან გაწენილი ღარიბი, უქონელი ინგლისელები თუ არა კაპიტალისტების სასიამოვნოდ? ფულს აძლევენ—ყველაფერი ფულის საქმეა—ჰგზავნიან და სამხრეთ-აფრიკაში ათი-ათასობით აწყვეტინებენ.

კაპიტალისტები არც ბურების ქალების და უსუსური ბავშვების საცოდაობამ მოიყვანა ჭკუაზე. ომის დროს შებრალება და გულჩვილობა არ გამოდგება. თქვენ იქნება იფიქროთ, რომ, ალბად, მარტო ბურების ბავშვები არ ებრალებათ კაპიტალისტებს, თორემ თავიანთ ინგლისელ ბავშვებზე სულ სხვა ნაირად მოიქცევიანო. ძლიერ სცდებით, თუ ასე იფიქრებთ. კაპიტალისტებისათვის სულ ერთია, შინაური თუ გარეული. ესენი ყველგან მარტო თავიანთ მოგებას, სარფას ეძებენ და თავიანთ ჯიბის გულისათვის თუნდ მთელ ქვეყანას გაჰმუსვრენ. აი რასა სწერს «რუსკაია ვედომოსტი»-ს ლონდონელი კორესპონდენტი:

ხალხის გულ-შემატკივარ კაცებს უნდოდათ, რომ ზოგიერთ ფაბრიკებში ბავშვების მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. მართლაც ქალები და ბავშვები დიდ წამებაში და ტანჯვაში არიან. ჭურჭლის ქარხნებში ისეთ საცოდავ დღეში არიან ჩაცვივნული, რომ რა სამხრეთ-აფრიკის «თავ-შესაფერი ბანაკები» და რა ეს ჭურჭლის ქარხნები. ამ ქარხნებშიაც ქალები და ბავშვები ყოველ წლიწადს ასობით იშხამებიან. ჭურჭლის ქარხნებში 16 ათასი მოზარდი ვაჟი და ქალი მუშაობს: ზოგი თიხას ამზადებს, ზოგი წამალს უსვამს, ზოგი ჭურჭელზე სურათებს ჰხატავს და სხვ. ჭურჭლის ქარხნებში ერთ მეტად შხამიან წამალს ხმარობენ: შიგ ტყვია ურევია. აი სწორედ ეს წამალი ჰშხამავს ბავშვებს: ტანი ეკრუნჩხებათ, თვალს აკლდებათ და ბოლოს სულაც ესალმებიან წუთი სოფელს. ეს ჭურჭლის ქარხნები სულ ერთ ადგილას, სტაფორდშირშია გამართული. აქაური მოქალაქეები ორ დასადაა გაყოფილი: ერთი დასი ქარხნებში მუშაობს, მეორე ამ ქარხნების საქმეს განაგებს: ზოგი დირექტორადაა, ზოგი მონაწილეა, ზოგი მედუქნეა, ექიმი, ადვოკატი და სხვა. მეორე დასის წევრები თავ გადაკლულები არიან ქარხნებისათვის და საფაბრიკო ინსპექტორას და ჟურნალისტებს ახლო არ აკარებენ. ჟურნალისტებს ხომ გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს და დაშავებულ ბავშვებს არ უჩვენებენ. ბავშვებს კიდე აშინებენ, თუ ხმა ამოიღეთ, ყველა თქვენ ნათესავებს ქარხნებიდან დავითხოვთო. ბოლოს «კეთილ-მოყვარულმა საზოგადოებამ» ამ ქარხნის საზარელი ამბები მაინც გამოაცხადა. ინგლისის საზოგადოების უკეთესი ნაწილი მთლად გადაირია. პარლამენტმაც ყურადღება მიაქცია და კომისია დანიშნა ამ ამბების გამოსაძიებლად. კომისიამ გამოიკვლია ყველაფერი და აღმოაჩინა, რომ ჭურჭლის ქარხნებში ყოველ წელს ბავშვები და ქალები ასობით შავდებიანო. კომისიის აზრით, ტყვიის წამალი სულ არა უნდა იხმარებოდესო, მის მაგიერ შეიძლება მშვენიერი უვნებელი წამალი იხმარონ, ეგ არის რომ ეს წამალი («ფრიტა» ჰქვიან) ცოტა მეტი ჰღირსო. ამიტომ ქარხნის პატრონებს დაავალეს ტყვიის წამლის მაგიერ «ფრიტა» იხმარეთო. კაპიტალისტებმა სულ ცეცხლი მოიკიდეს ამაზე და მთავრობასთან იჩივლეს: თავად უცხოელი კაპიტალისტები ყველა საქმეს ხელიდან გვტაცებენ და უფრო ძვირ წამალს რომ ვიხმარებთ, მაშინ ხომ სულ ვეღარას გავხდებით იმათთანაო. მთავრობამ შეისმინა თავისი ერთგული მომხრეების საჩივარი და განკარგულება მოახდინა: «ფრიტის» ხმარება წელიწად ნახევრის შემდეგ დაიწყეთო. ასე რომ «ტყვიის გველეშაპს» ნება მისცეს, კიდევ წელიწად ნახევარი შეგიძლიან ბავშვებს სიცოცხლე გაუმწარო და მოუშხამოო.

ეს ამბავი ცხადად გვიჩვენებს, რომ ეხლანდელი მთავრობა მაგრე რიგად თავს არ იწუხებს მომუშავე ბავშვებისა და ქალებისათვის. სადა სცალიან ამისათვის, სულ თმი აკერია პირზე, სულ შხამი ამოსდის პირიდანა.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 25 ნოემბერს ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება ტფილისის **ვაჭართა საზოგადოების** წევრებისა, რომელთაც, სხვათა შორის, უნდა ამოირჩიონ ობოლთა სასამართლოში ორი წარმომადგენელი და უნდა განიხილონ საკითხი, თუ რა მონაწილეობას მიიღებს ვაჭართა საზოგადოება ობოლთა სასამართლოს შენახვის ხარჯში.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობას განზრახვა აქვს კვირაობით ქართულს თეატრში იაფ-ფასიანი წარმოდგენა გამართოს საუკეთესო შინაარსიან პიესების შერჩევით.

◆ **ქართული დრამატიული დასი**, ბ-ნ ვ. აბაშიძის მონაწილეობით, დღეს, 25 ნოემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში დაკლებულის ფასებით წარმოადგენს 5 მოქმედებიან მელოდრამას დენიერისას „პარიზის ღარიბ-ღატაკთ", თარგმანს ვ. გუნიასას. ქანდარა 20 კაპ. და პარტერი 50 კაპეიკამდე არის ბილეთების ფასები დაკლებული. წარმოდგენა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

◆ რადგანაც ხშირად მომხდარა, რომ **სახაზინო გლეხების** საერთო ადგილები არა გლეხთა ხელში გადადიოდა და ამით თანდა-თან გლეხი **უმიწა-წყლოდ რჩებოდა**, მიწად-მოქმედების მინისტრმა წინადადება მისცა თავის ქვემდებარე მოხელეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და ყოველი ამისთანა შემთხვევა სამართლის წესით გაასწორონ.

◆ მოკლე დროში, პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, **უმართებულესი სენატი** განიხილავს საკითხს, აქვთ თუ არა ნება ბაზრობა დღეს ქალაქის მოედნების პატრონებს, სოფლიდან სანოვაგის შემომტანელ ხალხს რაიმე გადაახდევინონ.

◆ სამშაბათს, 27 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება **საბჭოს იმ კომისიას**, რომელსაც მინდობილი აქვს დასაფასებელ გარდასახადების დარჩენილ ფულის პატიების შესახებ თხოვნების განხილვა.

◆ როგორც შევიტყეთ, ადგილობრივ სამღვდელოებას გადაუწყვეტია მიართვან საქართველოს ყოფილ ეგზარხოსს **ფლაბიანეს კვერთხი**.

◆ ნ. თამამშევმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას **შრომის ბიუროს** მოქმედების ანგარიში დღიდან დაარსებისა. წესიერი მოქმედება ბიუროს დაუწყია 1-ლ სექტემბრიდან. ამ რიცხვიდან 21 ნოემბრამდე ადგილის მთხოვნელი მოსულა: 33 ბავშვის მომვლელი, 7 ინტელიგენტი, 8 ხელოსანი, 11 მუშა და 129 მსახური. ადგილი უშოვიათ ბიუროს რეკომენდაციით—8 ბავშვის მომვლელს, 8 მუშას და 108 მსახურს. შემოსვლია ბიუროს სულ 167 მ. და 20 კ., იხარჯებოდა კი თვეში—55 მან. თამამშევის აზრით, ეს ცნობები ვერ არიან გამომხატველნი საზოგადოთ ამ გვარ ბიუროს მოქმედებისა. პირველ ხანებში ამ დაწესებულებას ბევრი შემაფერხებელი გარემოება შეხვდა; უმთავრესი მათგანი ის არის, რომ შრომის მძებნელთა კონტიგენტი ვერ არის შეჩვეული წესიერებას, ეძნელება ზოგიერთ საჭირო პირობების შესრულება. მაგალითად, იშვიათად თუ თანხმდებოდა ფოტოგრაფიულ სურათის წარმოდგენას ბიუროში.

◆ ლონდონის საანტროპოლოგიო ინსტიტუტის გამოცემაში „The Journal of the Anthropological Institute of Great Britain and Irland"-ის XXXI ტომში (1901 წ.) დაბეჭდილია ჩვენი თანამშრომრომლის ბ-ნ თ. სახოკიას მიერ შეკრებილი ქართული ხალხური ზეპირ-გადმოცემანი ცხოველთა შესახებ (Animal folklore in Georgia, collected bv M. Sakhokia).

◆ **საფრანგეთის ჯარის** ორ ოფიცერს, რომელნიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან, განზრახვა აქვთ იმოგზაურონ ამიერ კავკასიაში და დაათვალიერონ ღირს შესანიშნავი ადგილები.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზების გადასახადთა ნაწილის უფროსი **ო. ა. ფონ-გერტი** დაბრუნდა პეტერბურგიდან, სადაც ის იყო სამსახურის საქმეების გამო წასული, და შეუდგა თავისს საქმეების აღსრულებას.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა თვის ქვემდებარე დაწესებულებათ, რომ თოვლის ქარიშხალის დროს ან თუ ნისლიანი ღამეა და ნიშანი ძნელი გასარჩევია, **მატარებლები ნელა ატარონ**, რათა რაიმე უბედურების ასაცილებლად ნიშანის ჩვენების დროს მატარებლის მალე შეჩერება შეიძლებოდეს.

◆ ტფილისის გუბერნიის **საპატიმროს საავადმყოფოში** ამ ხანად არის ავადმყოფი ტუსაღი 101 კაცი სხვა-და-სხვა სენით.

◆ გუშინ გადაეცა ოპერაციებისათვის **ქალაქის ლომბარდს** 5000 მ. აქამდე მიუღია ლომბარდს მესამე სესხის განაღდებულ ნაწილიდან 129,200 მ., მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი თანხა. ფულის გამტანი სულ ღარიბი და ხელმოკლე ხალხია. ქალაქს აქვს კიდევ ლომბარდისათვის 70,000-მდე.

◆ ამ დღეებში სამოსამართლო პალატამ განიხილა **საინტერესო სამოქალაქო საქმე**. ხაზინა ედავებოდა ალი-ბეგ-მელიქოვს ერთ დესიატინა მიწას ს. ბუზოვნის ახლო (ბაქოს გუბ). ამ მიწაზე არის წყაროები, საიდანაც მელიქოვს გაუყვანია წყლის მილი ნავთიან ადგილ რომანიში. დღიური შემოსავალი ამ წყლის მილისა უდრის 1400 მ. დღეში. ოლქის სასამართლოში ხაზინას წაუგია საქმე. სამოსამართლო პალატამ გადასდო განაჩენის გამოცხადება 27 ნოემბრამდე.

◆ ბაქოდან გვატყობინებენ, რომ იქ აღძრულია შუამდგომლობა ადმინისტრაციის წინაშე ამ ქალაქში **სახელოსნო სამმართველოს** შემოღებაზე.

◆ სამტრედიიდან გვწერენ: „წელს რიონს-გაღმა მდებარე სოფლებში (საჩინოში) ძლიერ **ცუდი მოსავალი იყო ბამბისა**. ცივი ამინდებისა და ქარების გამო სოფლელები იძულებული შეიქნენ თითქმის გაუშლელი და დაუმწიფებელი ბამბა აეკრიბათ. სამწუხაროდ, წელს შარშანდელ ფასებთან შედარებით ძლიერ დაიწია ბამბაზე ფასებმა. ფუთი გაურჩეველი (კურკიანი) ბამბა ისყიდება 2 მან. 20 კაპ. გარჩეული კი 8—9 მანეთამდე. ბამბის გასარჩევი მანქანები (ჯინები) ამ ჟამად წარმოებს—ერთი სოფელ ტობანიერში და ორიც ქალაქ ქუთაისში—ბ. ბ. კოსტანოვისა და ბეგოვისა. სახელმწიფო საცდელ მინდორსაც აქვს წყალწითელაზე ერთი ბამბის სარჩევი და სასურველია, რომ სოფლელებს ხსენებულმა საცდელ მინდორმა უსასყიდლოდ გაურჩიოს ბამბა. სამტრედიაში ამ ერთი თუ ორი წლის წინად გახსნა ბ. ანჯაფარიძემ საფეიქრო და ბამბის გასარჩევ მანქანასაც ამუშავებდა, მაგრამ ამ ჟამად საფეიქრო სხვა-და სხვა მიზეზებისა გამო დაიხურა.

◆ სათანადო უწყებას განზრახვა აქვს **წვრილ ოქრომჭედლებს** შეღავათი მისცეს თავიანთ ნაწარმოებების ოქრო-ვერცხლის გამსინჯავ პალატაში გაგზავნის საქმეში.

◆ **ჩითახოვის** მემკვიდრეების **საფეიქროს** მყიდველი გამოსჩენია. ახალს პატრონს განზრახვა აქვს გამოიწეროს საუკეთესო მანქანები საფეიქროსათვის.

◆ ერთ ვინმეს უთხოვია ტფილისის გუბერნატორისათვის ნებართვა **ბორჯომსა და აბასთუმანს შუა ავტომობილების** გამართვისა.

◆ **ტრამვაის** უსახელო **საზოგადოება** სცდილობს შეაცვლევინოს ქალაქს დადგენილება, რომლის ძალით ტრამვაის ლიანდაგი უთუოდ შუა ბაზარზე უნდა გაიაროს.

◆ ქალაქის სკოლების კომისია სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ მისცეს **სახელოსნო სასწავლებელს** 1000 მან. რემონტისა და ინვენტარის შევსებისათვის.

◆ გორის მაზრის სოფელ დოდოტში მუცელა გაჩენილა. ამ სენით ხუთი გამხდარა ავათ, მათ შორის მორჩენილა ერთი, ერთი უცბათ გარდაცვლილა. სამი ჯერაც ავათ არის.

◆ სოფელ შამლუხში ამ თვის ორიდან 16-მდე გამხდარა ავად მუცლის სახადით შვიდი, მათ შორის მორჩენილა ექვსი.

◆ სოფ. ხეითში (გორის მაზრა) გაჩენილა ავადმყოფობა მუცლის სახადით, გამხდარა ავათ ორი, მათ შორის ერთი უცბად გარდაცვლილა.

◆ **ბრმათა სამზრუნველოს** კავკასიის განყოფილების კომიტეტს 1901 წლის 1 ოქტომბრისათვის კასაში ჰქონია 9608 მან. 18 კაპ. ოქტომბრის თვის განმავლობაში შემოსვლია 2517 მან. 99 კ., სულ 12126 მან. 17 კაპ. აღნიშნულ თვეში ხარჯი მოსვლიათ სულ 2128 მან. სულ 1 ნოემბრისათვის თავისუფალი ფული დარჩენიათ 9998 მან. 17 კაპ.

სამკურნალოში ოქტომბრის თვის განმავლობაში ახალი ავადმყოფი შემწეობისათვის მისულა სულ 463 კაცი; ოპერაცია გაუკეთებიათ 97 კაცისათვის, აქედან 41 იქვე მწოლიარისა, ხოლო 56 გარედ მოსიარულეთათვის.

◆ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნი**: „საბრალო კრიტიკოსი. დაგვიანებული პასუხი ბ-ნ Georgiano-ს. თ. კიკვაძისა". წიგნაკის ფასი ორი შაურია.

◆ ტფილისის მე-2 ნაწილის ექიმს მაღალაშვილს გაუშინჯავს პოლიციის მე-5 ნაწილში დუქნები მეხაშისა, მეხორცისა, მეთევზისა, მერძევისა, მეპურისა, ღვინის სარდაფები და სასტუმრო „ათინა" და აღმოჩენილა შემდეგი: ორ მეხაშის დუქნებში მოუკალავი დიდრონი ქვაბები, მეთევზის დუქანში რვა გირვანქა გაფუჭებული დოში, ერთ მაღაზიაში აღმოუჩენია მთელი კვერეული შვეიცარიის ყველისა გაფუჭებული. საყასბოებში აღმოჩნდა უსუფთაოდ შენახული დიდრონი კუნძები, რომელზედაც წვრილად სჭრიან ხორცს. გაფუჭებული ყველი და თევზი მაშინათვე გადაყარეს. მეხაშეებს მიეცათ სამი დღე ვადა ქვაბების მოსაკალათ, მეხორცეებს გამოეცხადათ კუნძები შეინახონ სუფთათ და თუ მეორეთაც აღმოჩნდა ამნაირად უსუფთაობა, დასჯილი იქნებიან კანონიერად.

◆ გუშინ-წინ, შუაღამის 2 საათზე კახეთის გზატკეცილზე 6 ბოროტ-გამზრახველმა ხარი. მოსტაცა ს. პატარძეულიდან მომავალ წ. გიუნაშვილს. გიუნაშვილმა ეს ამბავი პოლიციას შეატყობინა და გუშინ ნავთლუღში იპოვნეს მოპარული ხარი. დაპატიმრებულია ორი ნავთლუღელი.

◆ ნავთის ვაჭარ ნაზაროვისათვის ამ დღეებში გაუტეხნიათ საფულე კასა და ფული წაუღიათ. ქურდი ჯერ ვერ მიუგნიათ.

◆ პოლიციის პირველ ნაწილში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხნიათ ოგანაჯიანცის დუქანი და გაუტანიათ ჩაი და სხვა-და-სხვა საქონელი, სულ 100 მ. ღირებულობისა.

◆ ვერაზე პოლიციის პირველ ნაწილში ტფილისის მოქალაქემ ბაგრატ სარქისოვმა დაიჭირა სპარსეთის ქვეშევრდომი სამუილ-ქიარიმ-ოღლი, როცა ეს უკანასკნელი მისი სახლის გატეხას აპირებდა.

პრესსა

ჩვენ ამას წინად მოვიყვანეთ ერთ-ერთის გაზეთის აზრი რუსეთის ცენტრისა და განაპირა ქვეყნების ერთი-ერთობის შესახებ. მკითხველებმა იციან, რომ უმაღლესმა მთავრობამ შეადგინა კომისია და დაავალა მას გამოსძებნოს მიზეზები ცენტრის დაქვეითებისა და შეიმუშავოს საშუალებანი, რომლით შეიძლებოდეს ცენტრის მდგომარეობის გაუმჯობესობა. ზოგიერთი გაზეთი, როგორც, მაგალითად „ნოვ. ვრემია", ამის გამო გაიძახის ცენტრის დაქვეითება განაპირა ქვეყნების ბრალიაო; განაპირა ქვეყნებმა მეტად ბევრი ხარჯი და მსხვერპლი მოითხოვეს ცენტრისაგან და შეასუსტეს იგიო. ეხლა სხვა გაზეთები პასუხს აძლევენ „ნოვ. ვრემიას„ და ამტკიცებენ, რომ ცენტრის დაქვეითება სრულიად სხვა მიზეზებმა გა-

მოიწვიესო, რომ განაპირა ქვეყნები აქარაფერ შუაში არიანო.

„ეკონომიური და სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენო, ამბობს „როსია“, რომ რუსეთის შუა-გულის დაქვეითება წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელს და განსაკუთრებულს მოვლენას, რომელიც აიხსნება თავის სპეციალურის მიზეზებით. ამიტომ ამ მოვლენის საწინააღმდეგო საშუალებანიც სრულიად დამოუკიდებლად უნდა გამოიძებნონ. სახელმწიფოსათვის მავნებელი იქნება, თუ ცენტრის გასაძლიერებლად განაპირა ქვეყნებს რაიმეს მოვაკლებთ. რუსეთს არასოდეს არ უწარმოვებია ეგრედ-წოდებული კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება კოლონიების სულიერ და ნივთიერ ინტერესების დამორჩილება მეტროპოლიის ინტერესებისათვის. მართალია, რუსეთის ყველა ნაწილების მჭიდროდ შეკავშირებისათვის საჭიროა—ცენტრი ძლიერი და მდიდარი იყოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა ცენტრის პირობათა გაუმჯობესება, რუსეთის შიდა-გუბერნიების მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების პირობათა შეცვლა“.

⁂

ამ დღეებში ტელეგრაფმა შეგვატყობინა, რომ გამოიცა ახალი კანონი სასოფლო სკოლათათვის სახაზინო მიწების მიზომვის შესახებ. რუსული გაზეთები თანაგრძნობით ეგებებიან ამ კანონს და წინასწარმეტყველობენ, რომ სასოფლო სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდება როგორც ნივთიერად, ისე სწავლის მხრივაც. „ნოვოსტი“ სწერს:

«დიდი ხანია რუსეთში ცდილობენ მოაწყონ სასოფლო სკოლებთან საცდელი მინდვრები, სამაგალითო ბაღები და სხვა ამ გვარი. მაგრამ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამგვარ დაწესებულებათ სარგებლობის გატანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიანთ, თუ სკოლასთან ახლო არიან და მის სრულს საკუთრებას შეადგენენ. სახაზინო მიწები-კი უმეტეს ნაწილად სკოლაზე დაშორებულნი არიან და, რადგანაც სკოლას დროებით ეკუთვნიან, ამიტომ არ შეიძლება მათი გაცვლა გლეხთა ნადელებზე. ამიერიდან, რა-კი სასწავლებლებს მიწები მიეზომება, მათ შეეძლებათ უფრო დამოუკიდებლად განაგრძონ თავიანთი არსებობა. მიწა შეადგენს მკვიდრ ფონდს, რომლის შემოსავალი უთუოდ ნივთიერად დაეხმარება სკოლას, რომელიც დღესდღეობით ძლივს ცოცხლობს. გარდა ამისა, საკუთარს მიწაზე სკოლა უფრო სისტემატიურად და საფუძლიანად მოაწყობს ბაღ-ბოსტანს, მეფუტკრეობისა და ხვნა-თესვის საქმეს“.

პასუხი ბ-ნს გოთუას

ყურადღებით გადავიკითხე თქვენი ღია წერილი, რომელშიაც, სამწუხაროდ, ყველაფერი ძლიერ გაზვიადებულია. ბოდიშს ითხოვთ ჩემგან წერილის თავშიაც და ბოლოშიაც. არ დავიშურებდი, მოგართმევდით, გაამებდით; მაგრამ საბოდიშო რომ არაფერი ჩამიდენია?

მე საზოგადო კრებაზე იძულებული გავხდი, გარემოებათა ძალ-დატანებით, მეთქვა კავკავის სკოლის შესახებ, რომლის გამგედ თქვენა ბრძანდებით, ის, რაშიაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული და ახლაც ვარ როგორც პრინციპიალურად, ისე ფაქტიურად.

მე ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია ჯეროვანი წარმატება ყოველის ჩვენის დაბალის სკოლისა, რომელშიაც პირდაპირ ბატონობს და გამგებლობს გარეშე პირი, მოსამსახურე სხვა, საშუალო სასწავლებელში, მცხოვრები გარედ, დატვირთული ხუთი-ექვსი გარეშე გაკვეთილით, მოკლებული თავისუფალს დროსა, და ამასთან დაშორებული იმ სპეციალურს მომზადებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა დაბალის სკოლის ხელმძღვანელისათვის. დაუმატეთ ამას პირდაპირი დამოკიდებულება ამ პირისა სხვა, გარეშე, ძალაზე და ჩემის აზრის სრული საფუძვლიანობა ცხადი შეიქმნება.

ამისთანა პირი შეიძლება იყოს ჩინებული მზრუნველი სკოლისა, მშვენიერი კანტროლიორი და რევიზორი, და არა მისი მმართველი და გამგე.

მართალი ბრძანებაა, რომ საზოგადო კრებაზე ამ საგნის შესახებ ბაასის ატეხა საჩოთირო და უხერხული იყო; მაგრამ ეს ბაასი მე არც დამიწყვია, არც გამიგრძელებია და არც გამითავებია. იგი ასტყდა ჩემ უნებლიედ და ჩემ მოულოდნელად. აღძრა ერთმა საკითხი, მხარი დაუჭირა მეორემ, მესამემ და თვით თავმჯდომარემაც ბ-მა ცხვედაძემ ასეთი აზრი გადაჭრილი კილოთი წარმოსთქვა: „ეს წესი არამც თუ კავკავში უნდა დავიცვათ, ბათუმშიაც უნდა შემოვიღოთო“. ჩვენი ბათუმის სკოლა დღემდინ ითვლებოდა ყველასაგან ისეთსავე სამაგალითო სკოლად, როგორიც იყო კავკავის სკოლა წინად, როცა ფაქტიურად მას განაგებდა მისი უფროსი მასწავლებელი. ამ აზრის განხორციელება ხომ ბათუმის სკოლასაც ძირს დასწევს მეთქი, ვიფიქრე, და მოვითხოვე სიტყვა. ამისთანა შემთხვევაში კაცი აბსტრაქტულს სფერაში ვერ დარჩება, იგი უნებლიედ გადადის კონკრეტულს ნიადაგზე და მეც იძულებული ვიყავი დამესახელებინა დაქვეითება კავკავის სკოლისა, როგორც პირდაპირი შედეგი იმ ანორმალურის გამგეობისა, რომლითაც დაჯილდოებას უპირებდნენ ბათუმის სკოლასაც. პირადად თქვენი დასამცირებელი არამც თუ არა მითქვამს-რა, პირიქით სასიქადულო შედარებაც ვიხმარე. თვით ბრწყინვალე პროფესორი უნივერსიტეტისა, უშინსკის აზრით, ვერ შესძლებს ჯეროვნულად უხელმძღვანელოს პირველ-დაწყებითს სკოლას, რომლისათვისაც საჭიროა სპეციალური მომზადებაო ვსთქვი.

თქვენი შეხედულობით კი გარედ მოსამსახურეს და დამოკიდებულს პირს უნდა ებაროს გამგებლობა და ხელმძღვანელობა სკოლისა; მას მეტი განათლება მიუღიათ, ბრძანებთ, და მეტი გავლენაც აქვს საზოგადებაში, ვიდრე სკოლის უფროსს მასწავლებელსაო.

აი სწორედ ეს ბრუდე აზრი რევდა და რევს დღემდინ საქმესა. დიახაც რომ გიმნაზიის მასწავლებელს მეტი განათლება მიუღია; მაგრამ რა გვარი? საზოგადო და არა სპეციალური, ხოლო სპეციალური მომზადება ჩვენშიაც, რუსეთშიაც და ევროპაშიაც მიაჩნიათ აუცილებელ საჭიროებად დაბალის სკოლების სწავლებისა, ხელმძღვანელობისა და მართვისათვის. სწორედ ამის გამო არსებობენ ყველგან საოსტატო ინსტიტუტები და სემინარიები. რომ ამ საქმისათვის საკმარისი ყოფილიყო საზოგადო განათლება, ეს სპეციალური სასწავლებლები არც გაჩნდებოდნენ და ვერც იცოცხლებდნენ. მართალია, საზოგადო განათლების მქონე პირმა პრაქტიკის წყალობით შეიძლება მშვენივრად შეითვისოს პირველ დაწყებითი მეთოდიკა და ჩინებულ სპეციალისტად გარდაიქცეს; მაგრამ ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი სამსახური თვით პირველ-დაწყებითს სკოლაში და არა გიმნაზიაში.

რაც შეეხება ფაქტიურს მხარეს, აქაც თქვენი ბრალდება საფუძველს მოკლებულია. მე ჩემს სიტყვაში არც წიხლი მიკრავს სკოლისათვის, არც მასწავლებელნი გამომილანძღავს, არც თქვენთვის მომიყენებია შეურაცხყოფა, როგორც ამას ამბობთ თქვენს წერილში საოცარი გაზვიადებით. ჩემი ნათქვამი არ შეეხებოდა არც უფროსს მასწავლებელს და არც შუათანას. აღვნიშნე მხოლოდ უმცროს მასწავლებლის უვიცობა, რომელიც, სხვათა შორის, აშკარად სჩანს მისგანვე წარმოდგენილი არითმეტიკის და წერის რვეულებიდან და მისი არა მოსათმენი მოპყრობა მოსწავლე ბავშვებისადმი, რაზედაც გამგეობას მოუვიდა წარსულს ზაფხულს ორი კოლლექტიური საჩივარი კავკაველის ქართველებისა, მოსწავლეთა მშობლებისა და ნათესავებისა, რომელთაც საჩივრებზე უწერიათ სრული თავისი სახელ-გვრები. ამ საჩივრებმა ჩემზე უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა, მით უმეტეს, რომ კავკავში მყოფი ქართველები გულმტკივნეულად ამოწმებდნენ საჩივრის სიმართლესა. თვით საზოგადო კრებაზე ერთმა ქართველმა იურისტმა, კავკავში ნამყოფმა, განაცხადა, რომ კავკავის ქართველობა ძლიერ უჩივის სკოლის უპატრონობასაო.

თვითონ ის ფაქტი, რომ უფროსი განყოფილების მოწაფეები რუსულს ენაში სუსტობენ, რაც აღნიშნა ბ-ნმა იოსელიანმაც თავის სარევიზიო ანგარიშში, საქმეში ჩახედულს პირისათვის ნამდვილს საბუთს წარმოადგენს ჩემის აზრის გასამართლებლად. საქმე ის არის, როცა ეს მოწაფენი მეორე განყოფილებაში იყვნენ, მათ მასწავლებლად მოწვეულ იქმნა მაშინდელის გამგის მიერ ხამი ვინმე, რომელსაც ძლიერ ესაჭიროებოდა ყოველ დღიური ხელმძღვანელობა; მაგრამ რადგანაც ეს ხელმძღვანელობა ვერ გაუწია იმ გარეშე გამგემ, ხამმა მასწავლებელმა ვერაფერი ასწავლა თავის მოწაფეებსა. ამის გამო ოფიციალური რევიზიის დროს ბ-ნი ლაპატინსკის მიერ კავკავის სკოლა, მანამდის ყველასაგან ქებული, წუნ დადებულ იქმნა. მეორე განყოფილებიდან ბავშვები მოუმზადებელნი გადავიდნენ შემდეგ განყოფილებაში და, რასაკვირველია, აქაც რიგიანად ვერ შეითვისებდნენ საგნებსა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამწუხარო ფაქტს არც მეორე განყოფილებაში ექნებოდა ადგილი და არც შემდეგში, სკოლას რომ თავისი საკუთარი გამგე, შინაური ხელმძღვანელი ჰყოლოდა.

იცით, რა უფრო ხმა-მაღლა ღაღადებს კავკავის სკოლის ახლანდელის მართვის სისტემის შეუსაბამობას. ის გარემოება, რომ ამ სისტემამ ჯეროვანი ნაყოფი ვერ გამოიღო იმისთანა ნიჭიერი და განათლებულის ქართველების ხელში, როგორც ბრძანდებით თქვენ—ბ-ნი კახიძე... ბ ამისთანა ფაქტების გამოქვეყნება წინადაც ძლიერ მეძნელობდა და ახლაც მეძნელება, მაგრამ რა ვქნა, რომ ამას მოითხოვს სიმართლის აღდგენა, სკოლის სიკეთე, მინიჭება მისთვის ნორმალურის მდგომარეობისა, აყვანა მისი უწინდელ სიმაღლემდე.

ამ კეთილ-შობილის მიზნის მიხწევა არც ისე ძნელია. სურვილი იყოს, თორემ საქმეს ადვილად მოევლება. საკმარისია აღდგენილ იქმნას ფაქტიკურად წინანდელი წესი სკოლის მართვისა, სახელდობრ: თქვენ იქნებით მზრუნველი, კანტროლიორი და რევიზორი სკოლისა, ხოლო შინაური გამგებლობა მისი და ხელმძღვანელობა უმცროსი მასწავლებლებისა ჩაჰბარდება სავსებით უფროს მასწავლებელს, როგორც ეს არის ყველა სხვა დაბალს სასწავლებელში. ამისთანა ცვლილება, რომლისათვისაც მაგდენად საჭირო არ არის ოფიციალური ნებართვაც, დააკმაყოფილებს ყველა მხარეს, თქვენც მოგანიჭებთ უფრო კიდევ ღირსეულს როლსა, იხსნის სკოლას თვით გამგებლობის პრინციპის შელახვისაგან, და ხელს შეუწყობს მის ჯეროვანს წარმატებასა.

ასეთი იყო ჩემი აზრი წინად, ასეთია ეხლაც, და თქვენ არამც თუ სხვებზე უკეთ იცით იგი, არამედ როცა სკოლის გამგებლობას კისრულობდით, სრულს იმედს იძლეოდით, რომ ამ სასარგებლო პრინციპს განახორციელებდით ფაქტიურად. მაგრამ იმედი-იმედად დარჩა, და თქვენ ამჯობინეთ პირ და-პირ ბატონობა სკოლაში, პირ-და-პირ გამგებლობა მისი, და სწორედ ეს გარემოება შეიქნა წასაფორხილებელ ქვად.

შემდეგ თქვენ ბრძანებთ: როცა მე ინციდენტის შემდეგ ტელეგრამა მოვსწერე „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას,“ უარს ვამბობ გამგეს ადგილზე და სამზრუნველოს თავმჯდომარეობაზე, გამგეობის ყველა წევრებმა მთხოვეს დავრჩენილიყავო. სწორედ მართალი ბრძანებაა და მთხოვნელთა შორის ერთი პირველთაგანი მეც გახლდით. მაგრამ სიმართლე მოითხოვს აღვიარო, რომ თქვენმა, მეტად მყვირალა ტელეგრამამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოუვიდა გამგეობასაც და ორს გაზეთის რედაქციასაც, მოახდინა ყველა წევრებზე იმისთანა შთაბეჭდილება, რომელიც თქვენთვის სასიქადულო არ იყო. ამას ჩემი მხრივ დავუმატებ მეორე მართალსაც, თქვენთვის სასარგებლოსა. როცა ახალი გამგეობა შესდგა და თქვენ, წესისამებრ, მასაც გაუმეორეთ თქვენი თხოვნა, იმანაც გთხოვათ არ დაგეტოვებინათ თქვენი თანამდებობანი. მეც რომ ამ გამგეობაში მოვქცეულიყავ, ჩემს ხმასაც შევუერთებდი სხვების ხმებსა. მაგრამ ამ ჩემს მოქმედებაში წინააღმდეგობას დაინახავს მხოლოდ საქმეში ჩაუხედველი პირი, ან გამსჭვალული არა კეთილი განზრახვითა. საქმე ის გახლავთ, რომ არც მე და არც სხვებს არ გვდომებია, რომ თქვენ, ბ-ნო პართენ, ხელი აგეღოთ სამზრუნველოს თავმჯდომარეობაზე არამც თუ ეხლა, შემდეგშიაც, რადგანაც თქვენზე უკეთესს ამ საქმისათვის ჩვენ ვერ ვიშოვნიდით. თვით სკოლის გამგებლობის რეორგანიზაცია უხერხულად მიმაჩნდა მიმდინარე სამოსწავლო წლის შუაგულში, მეტადრე მაშინ, როცა წყლის ამღვრევი გარემოებანი ჩაერივნენ საქმეში. ეს რეორგანიზაცია უნდა მომზადებულიყო და განხორციელებულიყო მომავალის სამოსწავლო წლისათვის, და იქნობამდის კი თქვენ უნდა დარჩენილიყავით ორსავე თანამდებობაზე. ხოლო თქვენ თვითონ თითქმის ჰკრავთ კეთილს გასავალს ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან იმითი, რომ ორსავე თანამდებობას აერთებთ, ორსავეზე ხელს იღებთ და თითქმის ასე ამბობთ: რადგანაც გამგედ აღარ ვიქნები, არც სამზრუნველოს თავმჯდომარეობა მინდა, და ამ წუთშივე ორსავეს ვტოვებო. ხოლო ამ ორის თანამდებობების ყოფნა კი ერთსა და იმავე ხელში წარმოადგენს ნამდვილს ანომალიას, რადგანაც სამზრუნველოს თავმჯდომარე პატივცემული პართენი გამოდის უფროსად და კანტროლიორად იმავე პატივცემულის პართენისა, როგორც სკოლის გამგისა.

ი. გოგებაშვილი.

(დასასრული იქნება)

გურიის მეთამბაქოეთა მდგომარეობა

„ცნობის ფურცლის“ № 1626 დასტამბული წერილი ბატონის ნ. წერეთლისა („სოფლის ამხანაგობანი და მათი კავშირი“) მაბედვინებს გამოვთქვა გაზეთის ფურცელზე ორიოდე სიტყვა იმ საქმის შესახებ, რომელზედაც დიდი ხანია მინდა ვსთქვა რამე და ვერ მითქვამს. ვერ მითქვამს მიტომ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ჯერობით ბეჭდვითი სიტყვას ჩვენში დიდი გასავალი არა აქვს, შენს წერილს წაიკითხავენ, იქნება ბევრმაც თანაგიგრძნოს და საჭიროდ დაინახოს გამოთქმულ აზრის განხორციელება, მაგრამ, რომ ვინმემ თავზე გამოიღოს და სიტყვა საქმედ აქციოს, ეს იშვიათი მოვლენაა. მაგრამ მაინც ვსინჯოთ, ცდა ბედის მონახევრე არისო, იტყვიან.

დიდს გასაჭირში არიან ჩაცვივნული აგერ ათ წელიწადზე მეტია გურიის მეთამბაქოენი. ზემო გურია (ჩოხატაურის საბოქაულო) შეადგენს თითქმის მთელ გურიის ნახევარ ნაწილს; აქ 50 ათასი სული მხოვრები ითვლება. ხალხის სიმრავლის მიზეზით აქ მეტის-მეტი სივიწროვეა ადგილებისა და აქაურს გლეხს სიმინდი იმოდენი თუ მოუვიდა, რაც მის ოჯახის საკვებად სჭირია, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება, თორემ გაყიდვით ვერავინ გაყიდის, ვერც გლეხი, ვერც თავად-აზნაური. მიუხედავად ამისა ზემო გურიის მკვიდრნი დაბალის და მაღალის წოდებისაგანი გაცილებით უკეთესს ეკონომიურს მდგომარეობაში იყვნენ, ვინემ დასავლეთ გურიის მცხოვრებნი. ზემო გურიაში ოცდა ათ წელიწადზე მეტია, რაც თამბაქოს კეთებას მისდევენ და ამ ათის წლის წინად ეს კულტურა დიდს შემოსავალს აძლევდა ჩვენს მხარეს. იშვიათი იყო ისეთი გლეხი, რომ წელიწადში (დასავლეთ გურიაში თამბაქო არ ხეირობს) 20—30 თუმნის თამბაქო არ გაეყიდნა და თითეულს თავადს და აზნაურს 50—60 თუმნისა. ღირსებით ჩვენი თამბაქო არ ჩამოუვარდებოდა საუკეთესო თათრულ თამბაქოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის გამოჩენილი ფირმები კუშნარევისა და სხვების გზავნიდნენ აგენტებს ჩვენში თამბაქოს საყიდლად. ფუთში მაშინ იძლეოდნენ 7—14 მანეთამდე. მაგრამ „ეს იყო და აწ ზღაპარია“; საუკუნოდ განქრნენ ის დროები ჩვენთვის და ეხლა ლამის თამბაქოს წარმოება მთლად მოისპოს აქეთკენ, რადგანაც ჩალის ფასადაც აღარ გადის. ეხლანდელი ფასებით საუკეთესო თამბაქო 6 მანეთად არის და საშუალო—3. მ. რასაკვირველია, აღარავის ხელს აღარ აძლევს ამ ფასებით თამბაქოს გაყიდვა და ამიტომაც წინეთ თუ 30—40 ათასი ფუთი მოჰყავდათ გურიაში, ეხლა 15 ათას ფუთამდე ძლივს მოდის. ხალხს ხალისი დაეკარგა მუშაობისა.

რამ გამოიწვია ასეთი კრიზისი? რამ და იმ წურბელა-ჩარჩებმა, რომელნიც ჩვენის ქვეყნის ყოველ სოფელს სისხლს სწოვენ და ძირს უთხრიან. რაკი შეხედეს და გაიგეს ბდგილობრივმა ჩარჩებმა, რომ ეს სახუმრო საქმე არ არის და თამბაქოსაგან შეიძლება კაცმა კარგი ფულები მოიგოს, შეჰკრეს ერთმანეთში პირობა, რომ უცხო ვაჭარს ჩვენში ნუ მოუშვებთო.. შეჰკრეს ასეთი პირობა და კიდეც მტკიცედ ასრულებენ. დღეს თამბაქოს ვაჭრობა გურიაში ამათ ხელშია და არავინ მოცილე არა ჰყავთ. რა ფასებშიაც ყიდულობენ, ხომ ზემოდ მოგახსენეთ.

როგორც კი აიღებენ ალღოს ეს ვაჭ-ბატონები, რომ ოდესელი გინდ ტფილისელი ვაჭარი მოდის გურიაში თამბაქოს სასყიდლადო, მათი აგენტები (აგენტები ჰყავთ) მაშინვე დაუხვდებიან რკინის გზის სადგურზე, გაეცნობიან, რასაკვირველია, კარგს ვახშამსაც გაუმართვენ და ურჩევენ, რომ სრულებით საჭირო არ არის მისი წასვლა გურიაში, ერთი იმიტომ, რომ ხალხი უცხო ვაჭარს ერთი-ორად დაუფასებს საქონელს, მეორე გურიაში ძალიან ძნელია უცხო კაცის მოგზაურობა, რადგანაც აუარებელი ყაჩაღებია და 5 მანეთისათვის ადამიანს წუთი-სოფელს გამოასალმებენ. თქვენ დაბძანდით ბათუმში და რამდენიც გნებავთ, ჩვენ მოგართმევთ თამბაქოს იაფ ფასშიო. რასაკვირველია, უცხო სტუმარი, შეშინებული, უკანვე ბრუნდება. ჩვენი ვაჭ-ბატონები კი ბრუნდებიან სახლში და თავისუფლად ნავარდობენ. ფუთ თამბაქოს 3 მანეთად ყიდულობენ, მიაქვთ და 8 და 10 ყიდიან. საწყალ, გულ-უბრყვილო ხალხს კი ეუბნებიან: თამბაქოს ფასი მიტომ დაეცა, რომ მთელი რუსეთის ბაზრები ავსებული არის ამ საქონლითო, ეხლა ყველგან ბევრი მოჰყავთო და აქაურს თამბაქოს აღარ ეკიდებიანო.

ჩვენ კი ვიცით, რაც არის მიზეზი, მაგრამ რა გამოვიდა? რას ვაწყენთ? როდესაც მეზობლები ერთი მეორესას შევიყრებით სადილზე ან ჩაიზე, მაშინ ერთმანეთს შევჩივით ჩვენს გაჭირვებას, მდუღარე ცრემლებს ვღვრით, ვიწყევლებით დედა-ბერივით, მაგრამ ხელები კი გულზე დაკრეფილი გვაქვს და არ ვანძრევთ. ხალხი გაღატაკდა, სახელმწიფო და სასოფლო ხარკის გადასახდელად უკანასკნელ მარჩენალ ძროხას ჰყიდის და ჩვენ წყევლისა და ტირილის მეტი ვერაფერი მოგვიხერხებია. ვინ არის კაცი, რომ ითაოს, შეადგინოს ამხანაგობა გურიის მეთამბაქოეთა, გამართოს საწყობი, აუჩინოს ბაზარი ჩვენ თუთუნს და გაჭირვებული ხალხი დაიხსნას ბოზოლაებისაგან! ჩვენი ინტელიგენცია (უნდა მოგახსენოთ, რომ გურიაში ნასწავლი ახალ-გაზრდობა საკმაოდ გვყავს) სხვა-და-სხვა ქალაქებში გარბიან და იქ ეწევიან ექიმობას, ვექილობას, „ჩინოვნიკობას» და სხვა-და-სხვა ჯიბის გასასქელებელ საქმეთა. სიტყვით კი ბევრს ყვირიან სამშობლოს სიყვარულზე, „რეჩებსაც“ ბევრს მოგახსენებენ, ლექსებსაც ბევრს დაგიწერენ, მაგრამ საქმეს კი—ნამდვილ საქმეს ყველა გაურბის.

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, ამბობს ჩვენი ბრძნული ანდაზა. რასაკვირველია, მთელს ჩვენ ინტელიგენციას ვერ დავსწამებთ გულ-გრილობას საზოგადო საქმისადმი; მათში თითო ოროლა მოიძებნება ნამდვილი მუშაკი და წრფელი მოღვაწე, მაგრამ მე უმრავლესობაზე მოგახსენებთ.

ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ მარტო ლიტერატურა ქართველ ხალხს ვერ დაარჩენს. ან რად გვინდა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, თუ გამოწერას და ყიდვას ვერ შევსძლებთ.

სოფლად ერთობ ბევრი საქმეა გასაკეთებელი და უნდა დაგვეხმარონ. მათი ცოდნით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ. დროა შეიგნოს ჩვენმა ინტელიგენციამ, რომ ჩვენ მარტო „ნასწავლობა“-ს პატივს ვერ ვსცემთ და ვერ დავაფასებთ. ჩვენ გვინდა ჩვენი ჭირისა და ლხინის შუაზე გამყოფი, დამხმარე ახალ-გაზრდობა.

ბოდიშს ვიხდი როგორც რედაქციასთან, აგრეთვე მკითხველებთან, რომ ეს წერილი მეტად გავაჭიანურე, მაგრამ არ შემიძლია ორი სიტყვა კიდევ არ ვსთქვა გურულ თამბაქოზე: ჩვენდა სასირცხვილოდ, წრევანდელ საიუბილეო გამოფენაზე ჩვენი თამბაქოს ნიმუში სრულებით არ ყოფილა გაგზავნილი, მაშინ, როდესაც ღირსებით კავკასიის ყველა თუთუნზე მაღლა სდგას და როცა სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრება გაიმართა ტფილისში, ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობაზე კაცს ხმა არ ამოუღია იმიტომ, რომ პატრონი არა გვყავდა.

ზემო გურული.

პროვინცია

დ. ხონი. მე არ მგონია, რომ სვანეთის მიყრუებულ კუთხეში სადმე უფრო გაჭირვებაში იყვნენ მცხოვრებნი უგზოობის გამო, ვიდრე ხონელები. ეს რამდენიმე ხანია, რაც ქუთაისს და ხონს შუა მიმავალი გზა ტყეცილი გაფუჭდა და ცოტა ოდენ შეკეთებას საჭიროებდა. წელს მარტის თვეში კიდეც გასცეს იჯარით გზის გაკეთება და მოიჯარადრეს ექვსი თვის განმავლობაში უნდა ჩაებარებინა გაკეთებული გზა მთავრობისათვის; მაგრამ აგერ მეცხრე თვე გადის და გზა ჯერ ნახევარიც არ არის გაკეთებული.

მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო დროს ხონს და ქუთაისს შუა ნამეტანი იმატა მიმოსვლამ. ამ ათიოდე წლის წინად, მარტო ერთი დილიჟანსი დადიოდა ხონსა და ქუთაისს შუა. დილას წავიდოდა ხონიდან და საღამოს დაბრუნდებოდა; ეხლა კი ექვსი დილიჟანსი დილით გადის ხონიდან და ექვსი შუა დღეზე. მე აქ არ ვანგარიშობ ეტლებს, რომელთაც დაჰყავთ მგზავრები. ასეთი მოძრაობა არის, ე. ი. იყო ამ გზაზე.

ამ გზის ერთ ადგილას გუბის წყლის ხიდის გადმა გზა აამაღლეს, დააყარეს 5 ადლზე სულ ცალიერი წითელი მიწა. ეხლა წარმოიდგინეთ მგზავრების მდგომარეობა, ნამეტურ წვიმის შემდეგ, როცა მიწა მოსველებულია (წელს კი კვირაში ორი-სამი დღე ხომ უეჭველად წვიმს). როცა ამ ალაგას მიაღწევენ მგზავრები, რასაკვირველია, უნდა ჩამოხტენ, რადგან დილიჟნებმა უნდა გადაუხვიონ ნაპირებში, სადაც არა თუ მგზავრები, არამედ თავისი თავი ძლივს გაჰყავთ.

აქეთ მგზავრები ზედენ-ახლად მოზვინულ მოუკეწკავ გზას თითქმის ორის ვერსის სიგრძეზე და მუხლამდის ეფლობიან ტალახში; იქით საბრალო მედილიჟნე მიერეკება ცხენებს, რომელნიც ყელამდის ეფლობიან ტალახში და ბოლოს ღონე მიხდილნი ჩერდებიან. ამით სარგებლობდენ მთელი ეს ზაფხული, ახლო მახლო მცხოვრებნი მეკამეჩეები, რომელნიც დადარაჯებულნი იყვნენ ხარ-კამეჩებით. რასაკვირველია, გაჭირვებული მედილიჟნეები მათ შემწეობას სთხოვდნენ, ისინიც დაუბამდნენ კამეჩებს უევრად, დილიჟნებს ამოათრევდენ და ახდევინებდნენ ორს ხან სამ-მანეთს. ამ შემოდგომაზე გზაზე მიმოსვლა თითქმის შესწყდა.

მართალია, ორმა მედილიჟნემ ამ გაფუჭებულ გზის გადმა-გამოღმა ორ-ორი დილიჟანი დააყენა და კიდეც გამოაცხადეს ჩვენ დილიჟნებს ეხლა «პერესადკა» აქვსო, მაგრამ ეს ძალიან ცოტა ნუგეშია მგზავრთათვის, ამით მათ მხოლოდ ცხენები გადაარჩინეს ტანჯვას.

იმედია, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია შეგვიბრალებს და დაგვიხსნის ამ ნაირ უნუგეშო მდგომარეობისაგან.

სეგერიანე ჩ—ძე.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 ნოემბერი.

პეტერბურგი. ბუხარის ემირის მემკვიდრე ასის თავი სეიდ-მირ-ალიმი, რომელიც თერგის ყაზანის ჯარში მსახურებდა, პოდესაულად ინიშნება. 26 ნოემბერს, წმინდა გიორგის სახელწოდების დღეს, სასახლეში, სადღესასწაულო გამოსვლა იქნება.

უმაღლესი წყალობა: სულთანის წინაშე მყოფს რუსეთის ელჩს ზინოვიევს უმაღლესად ებოძა ვლადიმერის ორდენი 50 წლის სამსახურისათვის.

სასახლის მინისტრი პეტერბურგს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

ხელმწიფე იმპარატორმა კეთილ ინება და უწმინდეს სინოდში მიიწვია კიევის მიტროპოლიტი თეოგნოსტი, მოსკოვისა—ვლადიმერი, ყაზანის მთავარ ეპისკოპოსი არსენი, ირკუტსკისა ტიხონი და პლოცკის ეპისკოპოსი ტიხონი.

ვაშინგტონი. მაკმასმა სთქვა, შერთებულმა შტატებმა ზომები უნდა მიიღოს, რომ ანარქისტებს არ შეეძლოთ შეთქმულობა მოახდინონ უცხო ქვეყნების მთავრობათა წინაამდეგ. გორის წინადადებით, ანარქისტები უნდა დაისაჯნენ პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის და უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეურაცხყოფისათვის, და 20 წლით დატუსაღებას თხოულობს იმათთვის, ვინც მოინდომებს ხელმწიფეებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლების მოკვლას.

ფრანკფურტი მაინზე. მატარებელი „ორიანტ ექსპრესი“, რომელიც ოსტენდედან ვენაში მოვიდა, გაქანებული უეცრად შეიჭრა უმთავრეს სადგურის დარბაზში. მგზავრები მეტად შეშინდნენ. დარბაზის კედელი დაინგრა. ადამიანი არ უმსხვერპლია. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ტორმოზი მოშვებული იყო.

კონსტანტინეპოლი. წარსულ პარასკევს სმირნაში ავსტრიის კონსული დასჭრა საიდუმლო დარაჯმა.

პეტერბურგის ბირჟა 23 ნოემბერს
გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,80
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	470½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	348½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	243¾ მყიდვ. „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	— „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	88½ გაყიდ.
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი
ალ. ჭყონია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

გამოცდილი მებაღე

ძლიერ იაფად კისრულობს ბაღ-ბოსტნების გაშენებას და აძლევს ყოველ-გვარ რჩევა-დარიგებას.

ადრესი: მუშტაიდი, ზ. დ. პრიდიკას.

მხატვარი

ლუკა მ. ხიმშიაშვილი

ამით ვაცხადებ, რომ შემიძლიან დახატვა ოთახებისა ევროპიულ და აზიურ გემოვნებით, შეღებვა მკვიდრი წამლებით შენობის ყოველ ნაწილთა და ყოველნაირ ნივთთა. ვწერ ვივესკებს და ვმართავ ყველაფერს, რაც სახლში გასამართი და შესაკეთებელი მოიპოვება. ფასებს დაუკლებ ხოლო ქართველებს. ამასთანავე ვიცი ენები: ქართული, ნემეცური, ფრანგული, რუსული, სომხური, თათრული და სხვა. შემიძლიან ვიკისრო მოურაობა და თარჯიმნობა. ადრესი: ელისაბედის ქუჩა, ნადიროვის სახლი, **№ 134.** (3—198—2)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საპერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

ქუთაისში, ვ. ბექანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი. თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ამხანაგობა

საკუთარ ხეხილეულო-

„შრომა“

ბის სანერგიდან ჰყიდის

ძლიერ იაფად

დამყნილ

ნერგ ებს

მსურველთ შეუძლიათ მიმართ[illegible] თონ: აგრ. [illegible]—ქ. [illegible] რიკაძეს; ტფილისში—ბაღოსნობის „ფლორას“ დ მუშტაიდში—ზ. პრიდიკას.

კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—2)

განმარტება

საფუთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობის მიერ.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ფარმაცევტების გარდა სხვებსაც შეუძლიათ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდევ: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დააარსეს ეს ამხანაგობა, წევრებად კი ყველას მიიღებენ განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალიხანიშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—69)

ტელეფონი № 741.

Телегр. адресъ: Тифлисъ. Фармацевтамъ

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Ноября 1901 г.

ელექტრონით მოქმედი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.